საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5970
07/10/2022

5970-21-2-202210071420

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4744 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის სოფ. ბუკისციხეში მდ. სუფსას წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ვინაიდან, საკვლევი უბანი მდებარეობს მდინარის მოხვეულ მონაკვეთზე, შესაბამისად, ჰიდროლოგიური ანგარიში უნდა შესრულდეს მდინარის მრუდხაზოვანი უბნისათვის;
- პროექტით გათვალისწინებულია 160 მ სიგრძის გაბიონის ნაგებობისა და მის მომიჯნავედ, ორივე მხარეს, ნაყარი დამბის მოწყობა, საერთო სიგრძით 220 მ. ნაყარი დამბა ისევე, როგორც გაბიონის ნაგებობა მდებარეობს აქტიური გარეცხვის ზონაში, ამდენად ადვილად დასაშვებია, რომ გრუნტის დამბა, რომელიც არ არის დაცული მყარი ნაგებობით ადვილად გაირეცხება საანგარიშო ხარჯის მოსვლის დროს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული სკრინინგის განცხადებაში;
- სკრინინგის განცხადებაში ჰიდროლოგიური ნაწილის შესაფასებლად, საჭიროა, რომ მასში შემავალი ყველა ფორმულა განმარტებული იყოს რიცხვითი მნიშვნელობებით (მაგალითად მდინარის კალაპოტის წარეცხვის სიღრმის ფორმულა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო